დანართი N2.

<u>**შენობების მოკლე აღწერა**</u>

რუსთაველის 10

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ორსადარბაზოიანი, ორსართულიანი სარდაფის გარეშე (ფოტო 1). პირველ სართულზე გააჩნია მცირე ზომის მიშენება (ფოტო 2). შენობა მზიდკედლიანია, სართულშუა გადახურვები ხის კოჭები, კიბეები ხის (ფოტო 3-4), სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას არ აღენიშნება ჯდენითი ბზარები ან/და სხვა სახის კონსტრუქციული დაზიანებები.

რუსთაველის 48

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ერთ მხარეს პირველ სართულზე აქვს კაპიტალური მიშენება (ფოტო 37), ხოლო უკანა მხრიდან ორივე სართულზე გააჩნია ხის მიშენება (ფოტო 38). შენობის პირველი სართული წარმოადგენს სილიკატური და წითელი აგურის შერეულ წყობას, სართულშუა გადახურვა შესრულებულია ხის კოჭებით, შენობის მეორე სართული (ფოტო 39). ხისაა (ბაღდადკის, დრიანკის) რომელიც გარედან შელესილია ქვიშაცემენტის ხსნარით. სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. გარე ფასადზე შეინიშნება ჩამოცვენილი ბათქაში. როგორც ფოტო 41-ზე ჩანს საძირკველი წარმოადგენ ქვის წყობას, რომლის შემავსებელიც გამოფიტულია და საჭიროებს შესაბამის დამუშავებას, კლიმატური ზემოქმედებისგან დასაცავად.

რუსთაველის 52

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა (ფოტო 42-43), უკანა მხრიდან ორივე სართულზე გააჩნია მიშენება (ფოტო 44). შენობის პირველი სართული წარმოადგენს სილიკატური და წითელი აგურის შერეულ წყობას (ფოტო 45), სართულშუა გადახურვა შესრულებულია ხის კოჭებით, შენობის მეორე სართული (ფოტო 46) ხისაა (ბაღდადკის, დრიანკის) რომელიც გარედან შელესილია ქვიშაცემენტის ხსნარით. სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. გარე ფასადზე შეინიშნება ჩამოცვენილი ბათქაში (ფოტო 46). როგორც ფოტო 45-47-ზე ჩანს საძირკველი წარმოადგენ ქვის წყობას, რომლის შემავსებელიც გამოფიტულია და საჭიროებს შესაბამის დამუშავებას, კლიმატური ზემოქმედებისგან დასაცავად.

აღობილის დასახლება I

ნაგებობა შედგება სამი ცალი მართკუთხა ფორმის ორსართულიანი შენობებისგან, რომლებიც ტერასულად არის განლაგებული რელიეფზე (ფოტო 57-58-59). ცალკეულად თითო შენობა

ერთსადარბაზაიანია, ორსართულიანი, სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას არ აღენიშნება ჯდენითი ბზარები ან/და სხვა სახის კონსტრუქციული დაზიანებები.

აღობილის დასახლება II

შენობას გეგმაში გესებრი (Г) ფორმა აქვს, ერთსართულიანია (ფოტო 60-61-62). სახურავი თუნუქის მოწყობილი ხის დახრილ ნივნივებზე.

ვიზუალური დათვალიერებით შენობას არ აღენიშნება ჯდენითი ბზარები ან/და სხვა სახის კონსტრუქციული დაზიანებები.

<u>რეკომენდაციები</u>

საერთო ჯამში ზემოთ აღწერილ შენობებს გარე ვიზუალური დათვალიერებით არ აღენიშნებათ სერიოზული კონსტრუქციული დაზიანებები. რეკომენდირებულია გამოფიტული და ბათქაშ ჩამოცვენილი ადგილების აღდგენა, კონსტრუქციულად გაუმართავი მიშენებების დემონტაჟი ან გამაგრება, თუნუქის სახურავების გარემონტება/გამოცვლა, აგრეთვე შენობებზე გარედან მიმაგრებული ლითონის სახანძრო კიბეების დემონტაჟი და ახლის მონტაჟი, შენობების გარშემო წყალსარინელი ბილიკის (ატმოსკის) მოწყობა. რეკომენდირებულია რამოდენიმე ლოკაციაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოს შემომსაზღვრელი საყრდენი კედლებისათვის დამატებითი კვლევების ჩატარება და მათზე დაყრდნობით დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით გამაგრებითი სამუშაოების განხორციელება.